შ.პ.ს. „კოდორი" KODORI LTD "KODORI"

ქ. თბილისი
№05/19/23

19 მაისი 2023წ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს

ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

ქალბატონო თამარ,

გაცნობებთ, რომ შპს „კოდორი" (ს/კ: 211385106), შპს „პრიმერა გოლფ ენდ რეზიდენციასთან" გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, გეგმავს ს/კ: 81.03.16.122 მიწის ნაკვეთზე გამავალი, სს „თელასის" საკუთრებაში არსებული, 35 კვ ძაბვის საჰაერო ეგხ „კუმისის" რეკონსტრუქციას, კერძოდ N22 - N28 არსებულ საყრდენებს შორის საჰაერო მონაკვეთის გადატანას მიწისქვეშა საკაბელო ხაზში.

35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზი „კუმისი" აკავშირებს ქვ/ს „კუმისი"-ს და ქვ/ს „თელეთი"-ს. აღნიშნული საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის საპროექტო მონაკვეთი მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. თელეთის მიმდებარე ტერიტორიაზე.

35 კვ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის „კუმისი"-ის რეკონსტრუქციის მიზანი და ამოცანა არის არსებული N22 საყრდენიდან არსებულ N28 საყრდენამდე 1570 მეტრი სიგრძის 35 კვ ძაბვის საკაბელო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა, ასევე ერთი ცალი ახალი ანკერული ტიპის N27ა საყრდენის მონტაჟი და 45 მეტრი საჰაერო მონაკვეთის მოწყობა საპროექტო N27ა საყრდენიდან არსებულ N28 საყრდენამდე.

ვინაიდან, კომპანიის მიერ დაგეგმილი საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" II დანართის მე-3 პუნქტის, 3.4 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სააგენტო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის

ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, ზახტრიონის ქ.13,ბ.85
Email:kodori197@gmail.com. ს/კ 211385106. ტელ.568 90 06 06

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
13. 06. 2023
№ 5392

საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ის საჭიროების შესახებ, წარმოგიდგენთ ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, მომზადებულ სკრინინგის ანგარიშს.

გთხოვთ, განიხილოთ თანდართული დოკუმენტაცია და გასცეთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი: სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია, Shp ფაილები.

პატივისცემით,
შპს „კოდორი"-ს დირექტორი
ტელ: 568 900 606

გ. კვარაცხელია